როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარებას

ნინო გამყრელიძე

ან.რაზმაძის სახელობის ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა
e-mail: ninogamkrelidze@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს ზეპირი მეტყველების კულტურა, განვუვითაროთ ძირითადი სამეტყველო უნარები- წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში სწავლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ზეპირმეტყველების განვითარება, რამეთუ ,,ეს მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს: მოსმენა და ლაპარაკი. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანმიმდევრულად განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას".

ენა საზოგადოებრივი მოქმედებაა, იგი საჭიროა, როგორც ურთიერთობის საშუალება. ენა საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა მისი დახმარებით შეძლოს გამოხატოს საკუთარი განცდები, ემოციები, იდუმალი აზრები. თანამედროვე სკოლამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პიროვნების აღზრდა, რომელიც ფლობს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში. მიზანი არის არა ის, რომ მოსწავლემ იცოდეს რაც შეიძლება ბევრი, არამედ ის, რომ შეეძლოს ადექვატურად იმოქმედოს ნებისმიერ სიტუაციაში და გადაჭრას პრობლემები.

ბავშვს უნდა ვასწავლოთ სამეტყველო ენა, დავაუფლოთ იმ ენობრივ ნორმებს, რომლებიც დამკვიდრდა ენაში ისტორიის მანძილზე. ითვისებს რა ამ ნორმებს, ფორმირდება ბავშვის მეტყველება, შეხედულებებები, ყალიბდება პიროვნებად, მეტყველება ადამიანს სჭირდება ყოველ ნაბიჯზე, ყოველგვარ საქმეში. მეტყველება ხომ აზრის გამოხატვის, ადამიანთა შორის ურთიერთობის, ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულყოფის

აუცილებელი საშუალებაა; ადამიანის მოქმედების ისეთი სახეა, რომელიც ენობრივი საშუალებების გამოყენების საფუძველზე ახდენს აზროვნების რეალიზაციას; ასრულებს ურთიერთობის, ემოციური თვითგამოხატვისა და სხვა ადამიანებზე ზეგავლენის ფუნქციას. კარგად განვითარებული მეტყველება თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის აქტიური საქმიანობის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ხოლო მოსწავლისათვის- სკოლაში წარმატებული სწავლის აუცილებელი პირობა.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი მეტყველება, სამეტყველო უნარები.

მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ერთ-ერთ საბაზისო კომპონენტს წარმოადგენს ზეპირი მეტყველების განვითარება. ბავშვი ეუფლება მშობლიურ ენას სამეტყველო მოქმედებების შედეგად.

მოსწავლეთა მეტყველების კულტურის აღზრდისათვის პირველი ნაბიჯები სწორედ სწავლების დაწყებით საფეხურზე უნდა გადაიდგას, რადგან ზეპირი მეტყველება წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის ათვისების საწყის მომენტს. ზეპირი მეტყველების სათანადო დონეზე დაყენება მტკიცე საფუძველს უქმნის წერითი მეტყველების განვითარებას. დაწყებითი სწავლების საფეხურზე მასწავლებელი პირველივე დღიდანვე აკვირდება მოსწავლეთა მეტყველებას, რომელიც სწავლების პროცესში განიცდის სხვადასხვა ცვლილებას. ეს რთული პროცესია, რომელიც აზროვნების განვითარებასაც გულისხმობს. სწორი მეტყველების ჩვევათა ფორმირების პროცესში მოსწავლეები მთელ რიგ წინააღმდეგობებს აწყდებიან. თავს იჩენს რიგი პრობლემებისა: მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს სიტყვის მართებულად ხმარება, წინადადებაში სიტყვათა დალაგება, დამაკავშირებელ სიტყვებს ხმარობს მეტყველებაში არასწორად, გამოთქვამს პარაზიტულ ჩანართებს, ლაპარაკობს ხმადაბლა, ყლაპავს სიტყვებს, უჭირს აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა…

მასწავლებლის მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეებს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ სიტუაციაში, სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგება- გააზრებისა და გადმოცემის, ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ პირადი დამოკიდებულების, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/ მათი ქცევის შეფასებისა და საკუთარი თვალსაზრისის ახსნის, ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-

სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენების, მიზნის შესაბამისად ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენების უნარ- ჩვევები.

დაწყებით კლასებში მოსწავლემ უნდა შეიძინოს სიტყვათა გარკვეული მარაგი, სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობითა და მართებული ფორმით გამოყენების ჩვევა, შეითვისოს ლიტერატურული მეტყველების გარკვეული ფორმები და თანდათანობით გაათავისუფლოს თავისი ლექსიკონი პროვინციალური, კუთხური სიტყვებისა და გამოთქმებისაგან, მოსწავლე უნდა დაეუფლოს ლოგიკური, გამართული მეტყველების, თხრობაში წინადადებათა მართებულად დალაგების, სხვადასხვა კონსტრუქციის წინადადების გამოყენების ჩვევებს.

ყურადღებას გამავახვილებ უმცროსკლასელთა მეტყველების განვითარების ძირითად ფაქტორებზე: საკლასო და საშინაო დავალებების სწორი ორგანიზაცია;

- წიგნის სისტემატური, მიზანშეწონილი კითხვა; ლიტერატურული ენის გავლენის სფეროს გაფართოება;
- მასწავლებლის ლიტერატურული მეტყველება;
- გრამატიკული მასალის ცოდნა.

დ. უზნაძე აღნიშნავს: რაში უნდა მდგომარეობდეს ენის განვითარების ის საფეხური, რომელსაც მოზარდი სკოლის პირობებში აღწევს? აქვე დასძენს, რომ პასუხი ამ კითხვაზე ადვილია. საქმე ისაა, რომ მოზარდი მხოლოდ პრაქტიკულადაა დაუფლებული თავის დედა ენას: მან ლაპარაკი იცის და ლაპარაკში თავისი ენის მორფოლოგიასაც ფლობს, სინტაქსსაც და სემანტოლოგიასაც. მისი მეტყველება ყველა ამათ წესს იცავს, მაგრამ ამ წესების შესახებ თვითონ ბავშვმა არაფერი არ იცის. ამისათვის მათი ობიექტივაცია და გაცნობიერება იქნებოდა საჭირო. ამის შემთხვევა და შესაძლებლობა კი მას ჯერ კიდევ არ ჰქონია და აი, სკოლა სწორედ აქ უწევს ბავშვს დახმარებას. იგი გრამატიკას ასწავლის მას და ამით ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს [უზნაძე- სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია გვ.96].

ვიგოტსკის ,,უახლოესი განვითარების ზონის თეორიის“ მიხედვით ცნებების დაუფლებაზე, კითხვისა და წერის უნარების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მდიდარი სოციალური გარემო: უფროსი მკითხველი; უფროსების მონათხრობი და საბავშვო მოთხრობების მოსმენა; სიტყვის მნიშვნელობის ახსნა; მეგობრებთან ურთიერთობა;

- განმავითარებელი თამაშები (შარადები, რებუსები, კროსვორდები, გამოცანები ბავშვებისათვის); მიღებული შთაბეჭდილებების აღწერა; წერისადმი სტიმულის მიცემა [ლ.ს ვიგოტსკი მეტყველება და აზროვნება პედაგოგიკა, 1996 რუს. ენაზე].

მაშასადამე, თანამედროვე სკოლამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პიროვნების აღზრდა, რომელიც ფლობს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში. მიზანი არის არა ის, რომ მოსწავლემ იცოდეს რაც შეიძლება ბევრი, არამედ ის, რომ შეეძლოს ადექვატურად იმოქმედოს ნებისმიერ სიტუაციაში და გადაჭრას პრობლემები.

ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2018-2024.
- უზნაძე დ., - სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. გამომცემლობა „ნეკერი“. 1998.
- Виготский Л., - Речь и мышление. Редагогика. 1996.

Nino Gamkrelidze

Kutaisi Andria Razmadze #41 school

How to promote the development of pupils's oral speech

Abstract

One of the main goals of the national curriculum is to develop oral speech culture in students, to develop basic speech skills - writing, reading, listening, speaking. In the standard of Georgian language and literature, one of the most important directions of teaching is the development of oral speech, because this direction combines two closely related speech behaviors: listening and speaking.The consistent development of skills related to these speech behaviors is aimed at forming a person who is ready for free, modern communication. This involves the development of oral communication, expression skills, listening skills, social communication and interactive skills. At school, the student learns the results of social experience through textbooks, where the necessary information is given in linguistic form. Language is needed so that a person can express his feelings, emotions, mysterious thoughts with its help.A modern school should provide the upbringing of such a person who possesses not only knowledge, but is able to use this knowledge in life. The goal is not for the student to know as much as possible, but to be able to act adequately in any situation and solve problems.We have to teach the child the spoken language, to master the linguistic norms that

have been established in the language throughout history, a child's speech and views are formed by the adoption of these norms, a person needs speech at every step, in every business. After all, speech is a necessary means of expressing thoughts, communicating between people, and perfecting the inner world of a person; It is a type of human action that realizes thinking based on the use of linguistic means; Performs the function of communication, emotional self-expression and influence on other people. Well-developed speech is an important means of active human activity in modern society, and for a student it is a necessary condition for successful learning at school.